# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 290. კვირა, 13 თებერვალი 1905 წ. გაზეთის № 2742.


## ცუდი სიზმარი

შჩეპკინა-კუპერნიკისა.

(დასასრული *)

სასამართლოს სასტიკი მოწყობილება ძველებური იყო და ამან, ცოტა არ იყოს, გაამხნევა ივან ივანიჩი. მაგიდას, ოქროს ჯაჭვით ყელზედ, მსაჯული მოსჯდომოდა, რომელსაც ივან ივანიჩმა როგორც მშობელ მამას ისე მიმართა:

— ბ-ნო მსაჯულო, ეს რა საზიზღარი საქმეა!..

— მოითმინეთ!—გააჩერა მსაჯულმა:—გთხოვთ, რიგი და წესი დაიცვათ. უჩივით ვისმეს?

— დიაღ!

— კარგი. თქვენი სახელი და ხელობა?

ივან ივანიჩმა უთხრა თავისი სახელი და, როცა თავის ჩინს ასახელებდა, მსაჯულმა ღიმილით გააწყვეტინა:

— ეგ ხარისხი ხომ დიდი ხანია აღარ არსებობს. განა არ იცით, რომ გააუქმეს?

„მაშ მართალი ყოფილა! ყველას გაუგია და მე კი არ ვიცოდი“. ივან ივანიჩი სულ მთლად დაიბნა.

— სთქვით პირდაპირ—ივან ივანიჩ ივანოვი, პეტერბურგის მოქალაქე. რაღა მიკიბ-მოკიბა გინდათ?

— აზნაური გახლავართ, ტახტის აზნაური!

— ჰო, კარგი!—კვლავ გაიღიმა მსაჯულმა:—თუ გსურთ, შეგიძლიანთ მაგ ტიტულის შერჩენა. თქვენი სახელი და ხელობა?

— პეტრე ტროფიმოვი, მეგაზეთე.

— რის ბრალსა სდებთ ტროფიმოვსა?

— ემასაც... ემასაც!—გესლიანად მიუთითა მოხუცზედ ივან ივანიჩმა.

*) იხ. „დამატება“, № 289.



მუშაობით მოქანცული.—სურათი ჴაგბორნისა.

— თქვენი სახელი?—გაიმეორა მსაჯულმა ჩვეულებრივი წინადადება.

— ისააკ მოსეს ძე ბერზონი, ამ ნაწილის მშვიდობიანობის დამცველი.

— ოჰო!—შეჰყვირა ივან ივანიჩმა.—ეხლა კი მესმის, საიდან მომდინარეობს ყველა ეს სისაძაგლე! რაკი იცკები და მოშკები ადევნებენ მშვიდობიანობას თვალსა, რასაკვირველია, სიკეთეს აღარ უნდა მოელოდეს კაცი. სულ მაგ ურიების ბრალია, სულა!—ივან ივანიჩს ყველაფერი ლაავიწყდა თავის ბრაზისა და გესლის გარდა, მაგრამ მსაჯულმა სასტიკად შეუტია და გააჩუმა:

— უმორჩილესადა გთხოვთ, ეროვნებას არ შეეხოთ. აქ ურია არავინ არის!

— მაშ ვინ არის თქვენის აზრით?

— მოქალაქე, რომელიც თავის ძალას, ღონეს და ცოდნას ხალხის სასარგებლოდ ხმარობს.

— ესეც ამათი მომხრე ყოფილა!—გაუელვა თავში ივან ივანიჩს:—რა ვქნა, ყველანი ხომ არ გაგიჟებულან?—ფიქრობდა ივან ივანიჩი.

მაგრამ ამ დროს მსაჯული დაეკითხა:

— აბა, რის ბრალსა სდებთ ამ ხალხს?

— ბევრი ლაპარაკი საჭირო აღარ არის. აი ნახეთ ესა!—უთხრა ივან ივანიჩმა და მსაჯულს გაზეთი გაუწოდა.

— მერე, რა იყო?

— როგორ თუ რა იყო?

ცხადი იყო, რომ მსაჯულს და ივან ივანიჩს ერთმანეთისა არა ესმოდათ რა.

— ნება მიბოძეთ, განგიმარტოთ რაშიც არის საქმე!—ჩაერია მოხუცი:—ეს ბატონი, როგორც ეტყობა, ავადმყოფი უნდა იყვეს, რადგან თავისი თავი იმ დროს მცხოვრებლად ეგულება, როცა ყველა ეს აღკრძალული იყო და თავისი ფანტაზია ნამდვილ, არსებულ ცხოვრებათ ეჩვენება. ეხლა ხომ გაიგეთ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსაჯულმა მხრები შეიშმუშვნა და ივან ივანიჩს მიუბრუნდა:

— გირჩევთ თავს უწამლოთ. თქვენ კი, ბატონებო, შეგიძლიანთ წახვიდეთ და თქვენ საქმეს შეუდგეთ,—მიუბრუნდა მსაჯული ბრალდებულთ.

— რა ამბავია ესა? სად არის მართლ-მსაჯულება? არა, ამას მე ესე არ დავტოვებ!—ლუღლუღებდა ივან ივანიჩი.— სად წავიდე ეხლა? მაგრამ ცხადია, საცა უნდა წავიდე!— გაიფიქრა ივან ივანიჩმა და სასამართლოდან ერთის ქუჩისკენ გასწია, საცა ის დაწესებულება ეგულებოდა, რომლის ნახვაც ეხლა დიდ საჭიროებად მიაჩნდა.

ამ დროს ხალხის ტალღამ გადაულობა გზა. ყრილობაში სტუდენტებიც იყვნენ, ქალებიცა და მუშებიც... ყველანი დიდებულ სიმღერით, მუსიკით წინ წამძღვარებულნი, მიდიოდნენ. ივან ივანიჩს, როგორც ყოველთვის, ხალხის არეულობის დანახვაზედ სუნთქვა შეეკრა და გვერდზედ გავარდა, რომ მალე წესის აღმადგენელი მოეძებნა სადმე. მაგრამ მათრახით აღჭურვილ რიგისა და წესის დამცველი არსად სჩანდა. მხოლოდ ორი-სამი სერჟანტი დინჯად ამთქნარებდა ქუჩის კუთხეში და, თითქოს ყველა ეს იმათ არც კი ეხებაო, ყრილობაში მოხვედრილ ნაცნობ პირებს სალამს აძლევდა.

თითქოს ძალად ივან ივანიჩის გულ გასახეთქათაო, ყრილობის სათავეში ივან ივინიჩმა თავისი შვილი გლები დაინახა. ისიც სხვებთან ერთად გაჰკიოდა სუფთა, წკრიალა ხმით საერთო სიმღერას. გლებს ქუდი კეფაზედ მოექცია და სახე მხიარულის ღიმილით ჰქონდა განათებული.

ივან ივანიჩმა შვილისკენ გასწია, უნდოდა გაეჩერებინა, მაგრამ ხალხის ყრილობამ ისიც გაიტაცა და ცოტა ხნის შემდეგ ისიც, სხვებთან ერთად, ჩინებულ, ბერძნების გემოვნებაზედ, აგებულ, ვეებერთელა სახლთან გააჩერა. შენობას ოქროს ასოებით ეწერა:

„იცოდეთ თქვენი უფლებანი და მოვალეობანი.“

— გლებ!—დაუყვირა ივან ივანიჩმა შვილს და სახელოში წასტაცა ხელი.—გლებ, აქ რას აკეთებ?

— ოჰ, თქვენც აქა ხართ, მამავ?—გაეხარდა შვილსა.— დიდი ხანია, ეგრე უნდა მომხდარიყო.

— ეშმაკმა წაიღოს ამათი თავი! რა ამბავია, აქ რა გინდათ, ან შენ რას აკეთებ ამათში?

— როგორ? არ იცი, რას ვაკეთებთ?—გაუკვირდა შვილს: —ჩვენ უდიდეს დღესასწაულს ვუქმობთ.

— შე ლაწირაკო, რის დღესასწაული, რას მიჰქარავ? გინდა ციმბირში გიკრან თავი? წამოდი ემსაათში და ღმერთს მადლობა შესწირე, რომ დროზედ შეგასწარ თვალი.

— მამავ, რას ამბობთ! დღევანდელ დღეს მე ამხანაგებს თავს როგორ დავანებებ, რას ამბობთ?!

— როგორ შეგიძლიან წინააღმდეგობა გამიწიო, შე ლაწირაკო შენა?

— უკაცრავად კი, ბიძავ, მაგრამ თქვენ არავითარი უფლება არა გაქვთ ჩემ რწმენას და აზრებს ძალა დაატანოთ.

— უფლებაო? მე შენ გაჩვენებ უფლებას! როგორც გეტყობა, დაგვიწყებია, რომ მე მამის უფლება მაქვს შენზედ!

— მამავ, როგორ შეიძლება, რომ ერთ ადამიანს მეორე ადამიანზედ რამის უფლება ჰქონდეს! მას მხოლოდ თავის სხეულსა და სულზედ აქვს უფლება!

— ჰხედავ, რეებს ლაპარაკობს? არ ვიცი, რა ვქნა, გაგიჟებულხართ ყველანი, თუ რა ამბავია.

— კმარა, მამავ, ისევ ის გირჩევნიათ თქვენც ჩვენთან ერთად იმხიარულოთ. ჰხედავთ ყველანი შევკრებილვართ... აგერ ლენაც აქ არის!

— ლენა?!—ივან ივანიჩმა მიიხედ-მოიხედა და თავისი ქალიც აქ დაინახა. ლენა, რომელიც კურსებზედ არ შეიყვანა და ეხლა კი კურსებზედ მოსწავლე ქალებთან იყო და გვერდით ზინაც კი ჰყავდა, ზინა, რომელიც ერთ მხატვარ ურიასთან სცხოვრობს და აქამდის არ ქორწინდება.

— ეგ უვარგისი პირუტყვი ეგა, ერთი უყურე, ზინაიდას გვერდზედაც რომ სდგას!

— მერე რა არის, რომ იმის გვერდზეა?—გაიკვირვა გლებმა.

— როგორ თუ რა არის? გაფუჭებული, თავზედ ხელ აღებული ქალი!..

— ვინა? ზინა?—გადიხარხარა გლებმა და ზინაიდას ამაყ და ლამაზ სახეს სიამოვნებით გადაჰხედა.—დალუპული რად იქნება? რას ამობთ, მამავ?

— ჯვარ დაუწერელი რომ სცხოვრობს!

**უკანასკნელ ბრძოლის დროს დაჭრილნი**



პორ. გ. ზედგინიძე





როტმისტრი კობიაშვილი



პოდპორ. ალ. დიდებულიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რას ლაპარაკობთ, ჯვარ დაწერილია სამოქალაქო წესით, რომელიც კანონით არის დაწესებული.

— კანო... კანონით?..—წაიხრიალა ივან ივანიჩმა.

— გაჩუმდი, გაგიგონებენ! შე უბედურო, თავს რაზედ იღუპავ?

— ვინ გაიგონებს?

— არ იცი „ვინცა“? კარგი, თავს ნუ იტუტუცებ, თუ ხათ.რი გაქვს, მგონი ასობით არიან ეხლა აქა.

— ჰოო, აგერ თურმე ვიზედ ლაპარაკობთ! დამშვიდდით, „ისინი“ აღარ არიან, რადგან სიტყვა „არა საიმედო“ აღარ არსებობს ჩვენს ლექსიკონში!

— გაგიჟებულა! გაგიჟებულა სწორედ!

მაგრამ შვილმა ყურადღება აღარ მიაქცია და წინ გაიწია, საცა ამაღლებულ ადგილზედ ვილაც მაღალი ტანის კაცი ასულიყო და ლაპარაკს აპირებდა. ხალხი ახმაურდა, აღელდა და მოლაპარაკეს სიხარულით მიეგება.

— მეგობრებო! მოქალაქებო! — დაიწყო ორატორმა.— დღევანდელი დღე უბედნიერეს და უდიდეს დღედ უნდა ჩაითვალოს, რადგან დღეს სცნო ხალხმა თავისი უფლებები და მოვალეობა. სცნო თავისი უფლება თავისუფლად ფიქრისა, ცხოვრებისა, შრომისა და ხმა მაღლა ლაპარაკისა. სცნო, რომ მას სრული უფლება აქვს, რა სარწმუნოებაც უნდა, ის მიიღოს და თავისუფლად იმღეროს სამშობლო ენაზედ ის, რაც უნდა და რაც მოსწონს. მან სცნო, რომ ყველა, რასაც კი სჩადის მისი სამშობლო, იმანაც უნდა იცოდეს და ყველასთან ერთად იმანაც მონაწილეობა უნდა მიიღოს საქვეყნო საქმეებში. სცნო აგრეთვე თავისი წმინდა მოვალეობა, რომ სიტყვით, საქმით, თუ ფიქრით სამშობლო ქვეყანას უნდა ემსახუროს და მარტო თავის კერძო ცხოვრებისა და ბედნიერებაზედ კი არ ჰფიქრობდეს, არამედ ყველაზედ, ყოველ მოქალაქეზედ. რომ ყველას თავისი წილი ჰაერი, ცოდნა და შრომა ჰქონდეს და ყველა თანასწორი იყვეს ჩვენ ძვირფას სამშობლოში.

— გოროდოვოი!—შეჰღრიალა ივან ივანიჩმა.—გოროდოვოი!—ივან ივანიჩს ამის მოთმენა აღარ შეეძლო მით უმეტეს, რომ ეშინოდა, მეც ამათ თანამოაზრედ არ ჩამთვალონო —.გოროდოვოი!

მაგრამ ამ დროს ორი სერჟანტი მიუახლოვდა, მოჰკიდა ორთავე მკლავებში ხელი და კარებისაკენ წაიყვანა.

— გირჩევთ გახვიდეთ აქედან, თორემ იძულებული ვიქნებით, მშვიდობიანობისა და მყუდროების დარღვევისთვის დაგატუსაღოთ.

— გოროდოვოი!—ღრიალებდა ივან ივანიჩი და ცივი ოფლის ხვითქი გადასდიოდა.

იმის წინ მისი მეუღლე იდგა და შეშფოთებული ეუბნებოდა:

— რა გაყვირებს ეგრე საზარლად? აგერ ათი საათია კიდეც. საცაა სამოვარსაც შემოიტანენ.

— სადა ვარ? — გიჟსავათ მიიხედ-მოიხედა ივან ივანიჩმა და საზარლად წაიხრიალა:

— გლები სადღაა?

— ყინულზედ საცურავად წავიდა.

— ლენა?

— კაბას ისინჯავს... რა დაგემართა, რა იყო?

ივან ივანიჩი ისევ თვალებს აფეთებდა, გვერდზედ გაზეთი ეგდო და ჟურნალი, რომელიც „ოც და მესამე“ საუკუნეზედ იყო გადაშლილი... სანათი მშვიდად ანათებდა ოთახს და საათიც დინჯად ხმაურობდა.

— ცუდი სიზმარი ხომ არა ნახე?

— ჰო, საზარელი...—უთხრა გონება მოკრებილმა ივან ივანიჩმა და ცოტა ხნის შემდეგ სასადილო ოთახში გავიდა. მაგიდაზედ სამოვარს შიშინი გაუდიოდა და საღამოს დეპეშები ეწყო... უცბად ერთ სტრიქონს მოჰკრა თვალი: „არა სასურველ და მავნე მიმართულებისთვის გაზეთს...“

— მადლობა ღმერთს!—ღრმად ამოიოხრა ივან ივანიჩმა და პირჯვარი გამოისახა.—წაიკითხავ რაღაც სიმხეცეს... და რა არ დაგესიზმრება? სულ კი შენი „ოცდა მესამე საუკუნე“-სი და სოკოთი შეზავებულ კომბოსტოს ბრალია, მე და ჩემმა ღმერთმა!—სთქვა და გაბრაზებულმა ჩაის სმა დაიწყო.

**ი. პ—ვი.**

# ახალწელიწადი იაპონიაში

იაპონელნი 1873 წლამდე ჩინელების კალენდარსა ხმარობდნენ, რომელიც მთვარის მოქცევაზეა დამყარებული. მაგრამ ამ წლიდან მოკიდებული ევროპიელებისაგან, სხვათა შორის, კალენდარიც ისესხეს. ასე რომ ახალი წელიწადი იაპონიაში იმის მაგივრად, რომ თორმეტის დღით უკან იყოს, სწორედ იმ დღეს ხვდება, რა დღესაც ევროპიელთა ახალი წელიწადია.

ახალი წლის უქმეები მთელ თვეს გრძელდება იაპონიაში. იწყება 13 ქრისტეშობის თვეს ანუ „მზადების დასაწყის დღიდან“.

ჯერ სწმენდენ და ასუფთავებენ მთელს სახლს, ყოველს მისს კუნჭულს. სწმენდენ და ასუფთავებენ აგრეთვე ყოველსავე, რაც სახლშია: ხალიჩებს, ჭილოფებს, ავეჯს, ჯამ-ჭურჭელს; გასაბერტყი და გასამზეებელი რაც რამ მოეძევებათ, ეზოს ანუ ქუჩაში, გამოაქვთ, სანამ იატაკის, კედლების, კიბეების, აივნების და სხვათა გარეცხვას მორჩებოდნენ.

სახლის გარეცხვა-გაკრიალებას რომ მორჩებიან, მისს მორთვა-გამშვენებას შეუდგებიან. მოსართავად ხმარებულ ნივთებს იმავე დროს სიმბოლიური მნიშვნელობაცა აქვს. შესავალ კარებზე აქეთ-იქით ჩაარჭობენ ან მიაჭედავენ ფიჭვის ტოტებს, საუკუნო არსებობის



გულის კამისიის სხდომა.

სიმბოლოს. ფიჭვის ტოტებს უმატებენ ორ ძალზე მაღალ და მწვანე ფოთლებიან ბამბუკს—სისწორის სიმბოლოს, და მსხლის ყვავილებს—მამაცობის სიმბოლოს. ამ მწვანე მცენარეთა და ყვავილთა გარდა, ვაჭრები კარებთანვე სდგამენ ბრინჯით სავსე ტომრებს და კასრით საკის (ბრინჯის ღვინოს)—უხვების ნიშანს. კარის თავზე ჩამოჰკიდებენ დაწნულ ჩალის ხვეულს—ძველ დროის სადა ცხოვრების მოსაგონებლად. ამ ხვეულს შუაზე დიდი კჳანძი აქვს, განწმენ-

დის ნიშანი, და ზედ ჩამოკიდულია: ერთნაირი კიბო ზღვისა—ხანგრძლივ სიცოცხლის ნიშანი; ლიმონი—ნიშანი კერის გაუცივებლობისა; რამდენიმე ტოტი ერთნაირის ხისა, რომელსაც იაპონურად იზურიკა ჰქვიან და რომელსაც ფოთოლი მაშინა სცვივა, როცა ახლებს ამოიყრის; გვიმრის ფოთლები და ალგის (მცენარეა, წყალში ხარობს) ტოტი—ნაყოფიერების მომასწავებელი ნიშნები.

*
* *

სახლს გარედან რომ მორთავენ, მერე შიგნიდან შეუდგებიან საქმეს. დარბაზის ჭერზე ჩამოჰკიდებენ ფიცარს, რომელზედაც უნდა დაჯდეს ოჯახის ანუ ფუძეს დედა-ღმერთი. შემდეგ კედლებში აქაიქ ჩაურჭობენ გამოკვანძულ ჩალას - ავის თვალის გრძნების გასაქარწყლებლად, ხოლო ცალფეხა მაგიდებზე სდგამენ ქოთნებში ჩარგულ ჯუჯა და ყვავილებით დაფარულს ატმებს, რომელთაც ნაზად სალამი უნდა მისცენ ახალწელიწადს.

შემდეგ აცხობენ მოჩებს, ბრინჯის კვერებს; ის კვერები სუფრაზე უნდა იყოს უეჭველად სტუმრობისა თუ სადილ-ვახშმის დროს, ხოლო ახალწლის ორ-სამ დღის წინად წითელ ლობიოსა ხარშავენ; სწვამენ გურამას, გუნდ-გუნდად მცურავ თევზს, კაცონოკოს, თევზს, რომელიც საოცრად მრავლდება: ეს თევზები ნიშანია ოჯახის ნაყოფიერებისა და მრავლებისა.

31 ქრისტეშობისთვეს ყოველს ანგარიშებს ასწორებენ: მოვალეს ვალს ახდევინებენ, აგრეთვე თავიანთს ვალებსაც იხდიან.

ქალაქებში გლეხებს ფიჭვის ტოტები და ბამბუკი ჩამოაქვთ და სახლების მოსართავად ჰყიდიან; ამავე დროს თვითონაც ყიდულობენ ბრინჯის ყანების დასაფარავ ავგაროზებს და „ბედიანობის ხეებს“ ანუ მტირალ ძეწნის ტოტებს, რომლებზედაც დაკიდულია ტკბილეულობა, სათამაშო სათითი, შუშეულობა, ღვდაბრების ნიღაბები და ლითონის ნაჭრები. შარაგზებზე გამართულია კარავები და მათ პატრონებისაგან ყურთა სმენაა წაღებული: გაუწყვეტლივ აყვირებენ საყვირებს, უსტვენენ და დაფდაფებს უკრავენ, ჰყიდიან საბავშვო სათამაშოებს, ნიღაბებს, პატარა, წითელ დიფლიფებს, რომლებიც გძელ და მღუნავ ჯოხებზეა ხოლმე დაკიდებული. ამავე დროს კარ-და-კარ დადიან ჯგუფები, უკრავენ, თამაშობენ, ფრინველის მსგავსად ნიღაბ ჩამოფარებულნი და ფულსა ჰკრეფენ.

ახალწლის ღამეს უმრავლესობა იაპონელთა ლოგინში არა წვება. დაძინების მაგივრად სცდილობენ შეიტყონ თავიანთი ბედ-იღბალი და კუდიანებსა და მზაკვრებს პირი შეუკრან. შუაღამეს ცოტა რო აკლდება, მთელი ოჯახი ეზოში გამოდის და გარშემო ეხვევა კოცონს, რომელსაც სახლის უფროსი ცეცხლს უკიდებს. ფიჩხი ერთი მეორეზედ რიგზეა დაწყობილი, რო მოეკიდება, ყველას სათითაოდ გამოაქვს, და იმაზე, თუ როგორ ეკიდება, ატყობენ ბედნიერი თუ უბედური ახალწელიწადი გაუთენდებათ.

შემდეგ სახლის უფროსი სადღესასწაულოდ გამოეწყობა, მხარზე ერთს ან რამდენსამე ხმალს გადაიკიდებს და მარტოდ-მარტო ყველა ოთახებს დაუვლის. ცალ ხელში მოხარშულ ცერცვით სავსე კოლოფი უჭირავს, ხოლო მეორე ხელით ამ ცერცვს ოთახებში აბნევს, თანაც ავ სულს სწყევლის და კრულავს, ხოლო თავისს მფარველ ანგელოზებს დახმარებასა სთხოვს.

დილის ორ საათზე, ღვთის მოშიში ტაძრებისაკენ მიდიან. იქ ნახშირია გაღვივებული და ყველას ცოტ-ცოტა მოაქვს „წმიდა ცეცხლი“, რომ ამაზე გამოაცხონ ახალწლის ღვეზილი ზოომი, ბრინჯის კვერი, რომელშიც სდებენ მოხარშულ თეთრ ლობიოს, მარილს და დამბალ ქერს. ახალწლის პირველ სამდღეს მზის ამოსვლამდე პირი ამით უნდა გაიხსნილონ ხოლმე, თან უნდა დაალიონ ღვინო ტასსო, რომელსაც ის თვისება აქვს, რომ მსმელს მთვრალი არ შეეყრება.

(დასასრული იქნება)



— წავიდეთ, გავფრინდეთ, ჩემო გვრიტო. პირველნი არა ვართ ჩვენ, არც უკანასკნელნი, გაუმარჯოს გარყვნილებას!..

## ძალად ექიმობა



რკინის გზის სადგურის უფროსი, რომელმაც მოსამსახურეს ავადმყოფობის ბიულეტენი უნდა აძლიოს.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი